გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 20

2020 წლის 10 აპრილი
ქ.გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 16/11/2017, 010260020.35.148.016405) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 83-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

83	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	2	700

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 90-ე და 91-ე გრაფებს შორის არსებული გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილება

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 102-ე გრაფა ამოღებულ იქნას.

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს 108-ე გრაფის შემდეგ დაემატოს გრაფა შემდეგი რედაქციით:

ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება

ე) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 108[1] გრაფა შემდეგ რედაქციით:

108[1]	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	1	1200

ვ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 108[2] გრაფა შემდეგ რედაქციით:

108[2]	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	3	900

მუხლი 2. ამ დადგენილების 1-ლი მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტები, ამოქმედდეს 2020 წლის 17 მაისს, ხოლო ამ დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ", „დ", „ე" და „ვ" ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის 17 აპრილს.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**